რატომ გაიზარდა 2009 წელს სახელმწიფო დაცვის სამსახურის სახელფასო ფონდი ორ-ნახევარი მილიონი ლარით

ჟურნალი "თბილისელები" – 27 აპრილი – 3 მაისი, № 17, 2009

ხელისუფლება ტრადიციას არ ღალატობს, არც ქამრების შემოჭერის და, მით უმეტეს, არც უმუშევრობასთან (პრეზიდენტის შეფასებით, ჩვენს ყველაზე დაუძინებელ მტერთან) ბრძოლის თვალსაზრისით. თუმცა, ამ ბრძოლის უკმოპრომისობის მიუხედავადაც, ციფრები სრულიად საპირისპიროზე მეტყველებს. კერძოდ, ჩვენ უკვე ვიცით (რა თქმა უნდა, სახელისუფლო ანგარიშებზე დაყრდნობით), რომ საქართველოს ბიუჯეტს 2009 წელს 150-დეპუტატიანი პარლამენტის შენახვა ორჯერ იმაზე მეტი უჯდება, ვიდრე 2007 ან 2008 წელს 235-დეპუტატიანი პარლამენტის შენახვა უჯდებოდა. ბალანსის დასაცავად, დავინტერესდით, რა თანხებია გამოყოფილი 2009 წლის ბიუჯეტში მთავრობის დასაფინანსებლად და როგორ აისახა ციფრებში სამთავრობო და საპარლამენტო ტრიბუნებიდან ძლიერთა ამა ქვეყნისათა მიერ დარისხებული ლოზუნგი: „ქამრები, ქამრები, ქამრები, ჩქარა". ამ საქმეში დახმარება ეკონომიკის ექსპერტს, ლადო პაპავას ვთხოვეთ.

– გადავხედოთ 2008 და 2009 წლების ბიუჯეტს და შევადაროთ სამინისტროებისთვის გამოყოფილი დაფინანსებები?

– მართლაც კურიოზია, როდესაც 235-დეპუტატიანი პარლამენტის შენახვა უფრო ძვირი ჯდება, ვიდრე 136-დეპუტატიანის, იმიტომ რომ რეალურად საქართველოს პარლამენტში დეპუტატთა რაოდენობა 136-ია, რადგან ვიცით, რომ ოპოზიციის აქტიურმა ნაწილმა უარი თქვა თავის მანდატებზე. უფრო მეტიც, 2009 წლის პარლამენტში, 2008 წელთან შედარებით, ორჯერაა გაზრდილი არაფინანსური აქტივებიც, 2007 წელთან შედარებით კი, ლამის სამჯერ. ამას ძალიან მარტივი ახსნა აქვს: ამ მოწვევის პარლამენტში

შვიდი ვიცე-სპიკერია. შესაბამისად, თითოეულ მათგანს სჭირდება კაბინეტი, ავტომანქანა და ასე შემდეგ. როდესაც 2004-2008 წლებში დეპუტატი ვიყავი, კომიტეტის თავმჯდომარეს ჰყავდა ორი მოადგილე, ახლა კი, მართალია, პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირებულია, მაგრამ კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილეების რაოდენობა გაზრდილია სამამდე. შეიქმნა ახალი ფრაქციები, ახალი კომისიები, მათ სჭირდებათ შესაბამისი დაფინანსება. რომელიღაც პუბლიკაციაში ეწერა, რომ ამ 136-დეპუტატიან პარლამენტში 80 დეპუტატს აქვს თანამდებობა და ესეც იწვევს ხარჯების ზრდას. ეს გაკეთდა იმიტომ, რომ პრეზიდენტს იმ ოპოზიციით, რომელიც პარლამენტში შევიდა, შეექმნა დემოკრატიულობის ფასადი, თავად იმ ოპოზიციისთვის კი – კომფორტული პირობები. ახლა გადავიდეთ ჩვენი საუბრის ძირითად თემაზე, რომელიც შეეხება უშუალოდ მთავრობისთვის გამოყოფილ ხარჯებს. დავიწყოთ საქართველოს პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯებით: 2008 წელს პრეზიდენტის ადმინისტრაციისთვის გამოყოფილი იყო 21 მილიონ 151 ათასი ლარი, 2009 წელს კი – 15 მილიონ 700 ათასი ლარი, ანუ დაფინანსების კლება შეიმჩნევა. პრეზიდენტის ადმინისტრაციაში მომუშავთა რიცხოვნობა იგივეა, 162 ადამიანი, თუმცა მათი სახელფასო ფონდი გაზრდილია. ოღონდ, თუ ამ მონაცემებს პარლამენტის დაფინანსებას შევადარებთ, რომელიც გაორმაგებულია, პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯები უფრო ადეკვატურია.

– თუმცა ქამრების შემოჭერა არ ასახულა პრეზიდენტის ადმინისტრაციის თანამშრომლების ხელფასებზე?

– არა, იმიტომ რომ ნახეთ როგორი სიტუაცაა: თუკი 2008 წელს სახელფასო ფონდი განისაზღვრა 3 მილიონ 200 ათასი ლარით, 2009 წელს კი ამ თანხამ 3 მილიონ 847 ათასი შეადგინა.

– რის ხარჯზეა პრეზიდენტის ადმინისტრაციის ხარჯები შემცირებული?

– ეს არის არაფინანსური ხარჯები, მაგალითად, სხვა ხარჯები საერთოდ განულებულია; შემცირებულია საქონლისა და მომსახურების ხარჯებიც. ავიღოთ საქართველოს მთავრობის კანცელარია: 2009 წელს, 2008 წელთან შედარებით, მთავრობის კანცელარიისთვის გამოყოფილი ხარჯი გაიზარდა

მილიონ-ნახევრით და ათი მილიონი შეადგინა, ანუ პრეზიდენტის ადმინისტრაციისგან განსხვავებით, მთავრობის კანცელარიის ხარჯი გაზრდილია. მომუშავეთა რიცხოვნობა იგივეა, 250 ადამიანი, შრომის ანაზღაურება კი მომატებულია 150 ათასი ლარით. ესე იგი, არც მთავრობის კანცელარიას შემოუჭერია ქამრები, თუმცა არც პარლამენტივით „გაუჯეჯილებიათ“. რაც შეეხება ცალკეულ სამინისტროებს: რეგიონული მართვის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსება 2008 წელთან შედარებით შემცირებულია, მილიონ 240 ათას ლარამდე. თანამშრომელთა რიცხოვნობა იგივეა, 38 ადამიანი და იგივეა მათი შრომის ანაზღაურებაც. დიასპორის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის დაფინანსებაც შემცირებულია, დაახლოებით, 100 000 ლარით. თანამშრომელთა რიცხოვნობა იგივეა, 23 ადამიანი, ოღონდ გაზრდილია მათი ხელფასების რაოდენობა, 80 000 ლარით. ოდნავაა შემცირებული რეინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის ხარჯებიც და განსაზღვრულია მილიონ 330 ათასი ლარით. იგივეა თანამშრომელთა რიცხოვნობა, 57 ადამიანი, თუმცა 35 000 ლარითაა შემცირებული მათი სახელფასო ფონდი. მაგალითად, აშკარად შემცირებულია ფინანსთა სამინისტროს დაფინანასება: თუკი 2008 წელს მისი ხარჯებისთვის მილიარდ ცხრაას მილიონამდე იყო გამოყოფილი, 2009 წელს ეს თანხა შემცირებულია, დაახლოებით, მილიარდ 400 ათას ლარამდე. 200 ადამიანამდეა გაზრდილი თანამშრომელთა რიცხოვნობა და, დაახლოებით, 11 000 ლარითაა გაზრდილი ხელფასების რაოდენობა. რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს აპარატს: მისი დაფინანსება 2008 წელთან შედარებით მილიონ-ნახევრითაა შემცირებული. თანამშრომელთა რიცხოვნობა იგივეა, 360 ადამიანი და იგივეა ხელფასების რაოდენობაც.

– რა უცნაურია, სახელფასო ფონდი არც ერთ ჩამოთვლილ უწყებაში არ არის შემცირებული.

– გაზრდილია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს დაფინანსებაც, 391 მილიონიდან 587 მილიონამდე. თუმცა შემცირებულია ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აპარატის დაფინანსება 8 მილიონ 600 ათასიდან 7 მილიონ 700 ათას ლარამდე. 35 ადამიანითაა გაზრდილი თანამშრომელთა

რიცხოვნობა და, დაახლოებით, 500 000 ლარითაა გაზრდილი ხელფასების ფონდი. შემცირებულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის დაფინანსებაც, სამაგიეროდ, გაზრდილია სახელფასო ფონდი, ოღონდ მომუშავეთა რაოდენობა იგივეა. რაც შეეხება იუსტიციის სამინისტროს დაფინანსებას: ის საგრძნობლადაა გაზრდილი 49 მილიონ 500 ათასიდან 58 მილიონ 351 ათას ლარამდე. იუსტიციის სამინისტროს ცენტრალური აპარტის დაფინანსებაშიც სერიოზული ზრდაა: 12 მილიონიდან თითქმის 16 მილიონამდე. უცვლელია შრომის ანაზღაურების ფონდი, ისევე, როგორც მომუშავეთა რიცხოვნობა. სამაგიეროდ, ორი მილიონითაა გაზრდილია ხარჯების დაფინანსება. ჩვენ ვნახეთ, რომ ყველა სამინისტრო ერთნაირ მდგომარეობაში არ არის და ზოგიერთი მათგანი უფრო პრივილეგირებულია. ორი მილიონითაა შემცირებულია პროკურატურის დაფინანსებაც, თანამშრომელთა რიცხოვნობა უცვლელია, სახელფასო ფონდი კი გაზრდილია 550 000 ლარით. დაფინანსების სერიოზული ზრდაა სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში: დაახლოებით, 19 მილიონი ლარით. თუმცა სახელფასო ფონდი უმნიშვნელოდაა გაზრდილი. სამინისტროს აპარატში მომუშავეთა რიცხოვნობაა 100 ადამიანი, სახელფასო ფონდი კი დაახლოებით მილიონ-ნახევრითაა განსაზღვრული. ზრდაა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დაფინანსებაშიც, 15 მილიონი ლარით, თანამშრომელთა რიცხოვნობაც იგივეა და სახელფასო ფონდიც. რაც შეეხება საგარეო საქმეთა სამინისტროს: აქაც დაფინანსების ზრდაა 58 მილიონიდან 70 მილიონამდე. გაზრდილია საგარეო საქმეთა სამინისტროს აპარატის დაფინანსება, დაახლოებით, მილიონამდე. ერთი ადამიანითაა გაზრდილი თანამშრომელთა რიცხოვნობა, ასევე, 500 000 ლარითაა გაზრდილი სახელფასო ფონდი. აშკარადაა შემცირებული თავდაცვის სამინისტროს დაფინანსება მილიარდ-ნახევრიდან 950 მილიონამდე. იგივეა მომუშავეთა რიცხოვნობა და დაახლოებით, 100 მილიონითაა გაზრდილი სახელფასო ფონდი. შემცირებულია შინაგან საქმეთა სამინისტროს დაფინანსებაც: 2008 წელს მისი დაფინანსება შეადგენდა 740 მილიონს, 2009 წელს კი 560 მილიონი შეადგინა. თანამშრომელთა რიცხვონობა უცვლელია, 26 227 ადამიანი.

– ამ რიცხვში შედის სპეცრაზმებიც?

– რა თქმა უნდა, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყველა თანამშრომელი. სახელფასო ფონდი გაზრდილია, შემცირებულია არაფინანსური ხარჯები 170 მილიონი ლარით. ეს გასაგებიცაა, მათ ჰქონდათ მშენებლობები, რომლებიც უკვე დასრულდა. გაზრდილია განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაფინანსება 470 მილიონიდან 525 მილიონამდე. თანამშრომელთა რიცხოვნობა ერთი ადამიანითაა გაზრდილი, სახელფასო ფონდი კი – 250 000 ლარით. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ცენტრალურ აპარატის დაფინანსება შემცირებულია: დაახლოებით, რვა მილიონიდან ოთხ-ნახევარ მილიონამდე. თანამშრომელთა რიცხოვნობა ერთითაა გაზრდილი, სახელფასო ფონდი – 250 000 ლარით. გაზრდილია, ასევე, კულტურის სამინისტროს დაფინანსებაც: 9 მილიონი ლარით. მომუშავეთა რიცხოვნობა იგივეა, სახელფასო ფონდი გაზრდილია 400 000 ლარით. გაზრდილია სამინისტროს აპარატის დაფინანასებაც, მილიონი ლარით. მომუშავეთა რიცხვონობა იგივეა, სახელფასო ფონდი კი გაზრდილია 370 000 ლარით. ასე რომ, ნამდვილად ვერ ვიტყვით, რომ რაიმეს შემოჭერასთან გვაქვს საქმე. საგრძნობლადაა შემცირებული ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს დაფინანსება, 97 მილიონიდან 30 მილიონ ლარამდე.

– არადა ლტოლვილთა რაოდენობა გაიზარდა.

– იგივეა სამინისტროს თანამშრომელთა რაოდენობა, მაგრამ გაზრდილია მათი სახელფასო დაფინანსება, დაახლოებით, მილიონ-ნახევრამდე. გაზრდილია სამინისტროს ცენტრალური აპარატის დაფინანსება, ნახევარი მილიონი ლარით. ასევე, გაზრდილია სახელფასო ფონდიც: 600 000 ლარამდე, თუმცა თანამშრომელთა რაოდენობა უცვლელია, 144 ადამიანი.

– ესე იგი, გამოდის, რომ ლტოლვილთა სამინისტროს ლტოლვილთა ხარჯზე შეუმცირდა დაფინანსება?

– ამას უფრო დეტალურად სჭირდება გაანალიზება, მაგრამ ფაქტია, რომ სამინისტროს აპარატს ხელფასები არ დაკლებია, საქონელი და მომსახურება არ დაკლებია. შეიძლება, ეს ტენდენცია იმით ახსნან, რომ სამინისტროს თანამშრომლებს გაეზარდათ სამუშაო ფრონტი, იმიტომაც მოემატათ ხელფასი, რომ ლტოლვილების რაოდენობა გაიზარდა. რაც შეეხება ჯანდაცვის

სამინისტროს: დაფინანსება გაზრდილია და მილიარდ-ნახევარს შეადგენს, გაზრდილია თანამშრომელთა რაოდენობაც და სახელფასო ფონდიც. ამ შემთხვევაში შეიძლება, ითქვას, რომ ხელფასების ზრდა არ არის თანამშრომელთა რაოდენობის ზრდის ადეკვატური. შემცირებულია სამინისტროს აპარტის დაფინანსება, თანამშრომელთა რიცხოვნობა მცირედითაა გაზრდილი, შესაბამისად, გაზრდილია სახელფასო ფონდიც. ანუ, ფაქტობრივად, ჩვენ ვერსად ვნახეთ ქამრების შემოჭერის ეფექტი, თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს ფიარისთვის?! დაფინანსების სერიოზული კლებაა ენერგეტიკის სამინისტროში: 120 მილიონიდან 40 მილიონამდე. თანამშრომელთა რაოდენობა იგივეა, 121 ადამიანი, თუმცა სახელფასო ფონდი გაზრდილია 200 000 ლარით. შემცირებულია სამინისტროს ცენტრალური აპარატის დაფინანსებაც, დაახლოებით, მილიონი ლარით. თანამშრომელთა რაოდენობა იგივეა, 98 ადამიანი, მათი სახელფასო ფონდი გაზრდილია 170 000 ლარით. გაზრდილია სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაფინანსება. თუმცა გაზრდილია სამინისტროს სახელფასო ფონდი. ასევე, მომატებულია სამინისტროს ცენტრალური აპარატის დაფინანსება – 500 000 ლარით, იგივეა თანამშრმოელთა რიცხოვნობა, 132 ადამიანი, მათი სახელფასო ფონდი კი გაზრდილია 200 000 ლარით. მცირედითაა შემცირებული გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს დაფინანსება. შემცირებულია თანამშრომელთა რიცხვონობაც, მაგრამ გაზრდილია სახელფასო ფონდი. ორი მილიონი ლარითაა გაზრდილი სამინისტროს ცენტრალური აპარტის დაფინანსება, თანამშრომელთა რაოდენობა უცვლელია, 157 ადამიანი, თუმცა 300 000 ლარითაა გაზრდილი მათი სახელფასო ფონდი. გაზრდილია სახელმწიფო დაცვის სპეციალური სამსახურის დაფინანსება: ორ-ნახევარი მილიონი ლარით, თანამშრომელთა რიცხოვნობა იგივეა, 3 550 ადამიანი, თუმცა ორ-ნახევარი მილიონი ლარითაა მომატებული მათი სახელფასო ფონდი. ასევე, გაზრდილია სახალხო დამცველის აპარატის დაფინანსებაც, დაახლოებით, 90 000 ლარით. თანამშრომელთა რიცხოვნობა იგივეა, 60 ადამიანი, 150 000 ლარითაა გაზრდილი სახელფასო ფონდი.

– იმას გარდა, რომ ქამრების შემოჭერა რეალურად გამოიხატება ჩინოვნიკებისთვის კეთილდღეობის შენარჩუნებაში, კიდევ რის თქმა შეიძლება, ამ მონაცემების საფუძველზე?

– გამოკვეთა ის ტენდენცია, რომ ზოგიერთ სტრუქტურაში აშკარად გაიზარდა სახელფასო დაფინანსება. ჩვენ რომ კრიზისის პირობებში არ ვიყოთ, ეს ნამდვილად არ არის ცუდი ტენდენცია. მე ყოველთვის ვიყავი და ვარ იმის მომხრე, რომ ჩინოვნიკი მაღალ ხელფასს იღებდეს, რათა, ჯერ ერთი, სახელმწიფო სამსახური იყოს მიმზიდველი და, მეორე, იქ კომპეტენტური ადამიანები მუშაობდნენ. მეორე მხრივ, ეს საჭიროა იმისთვის, რომ საჯარო მოხელეს შეეძლოს ღირსეულად შეინახოს თავისი შრომით ოჯახი და ნაკლები საფუძველი ჰქონდეს ცდუნებისთვის. უფრო მეტიც, შესაძლოა, გაჭირვებაში მყოფ ქვეყანაშიც გაუზარდონ ჩინოვნიკებს ხელფასები, მაგრამ არ უნდა გააფიარო, რომ თითქოს ქამრებს იჭერ, ეს უკვე უზნეობაა. ამ მონაცემებში არ ჩანს ის ხარჯი, რომელიც ჩინოვნიკების მივლინებებისთვისაა გამოყოფილი. მე გაგხსენებთ იანვარს, როდესაც საქართველოსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის ხელი მოეწერა ქარტიას. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ხელშეკრულებაა, რასაც ისტორია შეაფასებს და ის თავის დროზე შევა ჩვენი ისტორიის სახელმძღვანელოშიც, მაგრამ გავიხსენოთ, რამდენი ადამიანი იყო წასული?! ქარტიაზე ხელი უნდა მოეწერა საგარეო საქმეთა მინისტრს, მაგრამ რამდენი მინისტრი ახლდა მას?!

– ბევრნი რომ იყვნენ, მახსსოვს.

– დიახ, ძალიან ბევრი მინისტრი ახლდა, რომელთა იქ ყოფნა არაადეკვატური იყო. მეორე საკითხი: წესით, მთავრობის წევრები, თუ ქვეყანას აქვს ამის საშუალება, ბიზნეს-კლასით უნდა მგზავრობდნენ, მაგრამ, ვეჭვობ, საქართველოსთვის ეს გამართლებული იყოს. ჩემი მინისტრობისას მიმგზავრია ბიზნეს-კლასით, ოღონდ მხოლოდ მაშინ, როდესაც მიმწვევი მხარე ანაზღაურებდა მგზავრობის ხარჯებს, სხვა შემთხვევაში ეკონომ-კლასით ვმგზავრობდი. იანვარში კი ერთი ქარტიის ხელმოწერაზე ლამის მთელი მინისტრთა კაბინეტი იყო წარმოდგენილი, რაც თავისთავად ბადებს კითხვას: რატომ?

– შეიძლება, ჰაერის გამოსაცვლელად.

– ეს ბადებს ეჭვებს. კიდევ ერთი რამაა ძალიან ნიშანდობლივი: როგორც ჟურნალისტს, შემჩნეული გექნებათ, რომ თქვენი კოლეგები, განსაკუთრებით, ეს ეხება ტელეჟურნალისტებს, ათენებენ და აღამებენ აეროპორტში. იქმნება ძალიან სასაცილო სიტუაცია: კამერებით აფიქსირებენ, რომელი მინისტრი გაფრინდა და რომელი მოფრინდა, მათ ართმევენ ინტერვიუებს, რაც სრულიად გაუგებარია, რადგან, თუ ადამიანი მიდის მივლინებაში, მას შეუძლია, ამის შესახებ წინასწარ გაანცხადოს ან ჩამოსვლის შემდეგ გამართოს ბრიფინგი ან პრეს-კონფერენცია. მაგრამ ესეც ფიარზეა გათვლილი, აი, რა კარგად მუშაობს ჩვენი მთავრობაო. გასაგებია, ეს არის ჩვენი ხელისუფლების ფიარ-ელემენტი, თუმცა, მეორე მხრივ, ჩვენ იმასაც ვხედავთ, რა სიხშირით დაფრინავენ მინისტრები.

– და ადვილადაც წარმოვიდგენთ, რა უჯდება ბიუჯეტს მათი გაფრენები.

– დიახ. ჩვენთვის მთავარი ის არის, რომ სამინისტროებში, სადაც თანამშრომლების რაოდენობა არ იზრდება ან მცირდება, რატომ იზრდება მათი სახელფასო დაფინანსება. და კიდევ ერთი რამ, რაც ჩემთვის აბსოლუტურად გაუგებარია: რატომ უნდა იღებდეს ერთი და იმავე რანგის საჯარო მოხელე განსხვავებულ ანაზღაურებას, იმისდა მიხედვით, რომელ სამინისტროში მუშაობს?! აშკარაა, რომ პარლამენტი გამოკვეთილად პრივილეგირებულია. მაგალითად, ვიცი ისიც, რომ ერთ-ერთი ახლად შექმნილი სამინისტროს აპარატმა საკმაოდ დიდი თანხები დახარჯა სამინისტროს ცენრალური აპარტისთვის ახალთახალი „ჯიპების“ შესაძენად. მოდი, ასე ვთქვათ: ის პარლამენტი, რომელშიც მე ვიყავი დეპუტატი, მეგონა, რომ იყო საქართველოს ყველა დროის ყველაზე ცუდი პარლამენტი და ვფიქრობდი, მაინცდამაინც მე არ გამიმართლა-მეთქი, მაგრამ, დღეს რომ ვუყურებ შექმნილ სიტუაცას, როგორც ჩანს, ადამიანის წარმოდგენები ხშირად არ შეესაბამება რეალობას, რადგან იმას, რაც დღეს საქართველოს აქვს, ძალიან ძნელია, დაარქვა პარლამენტი.

ნინო ხაჩიძე